განმარტებითი ბარათი

საქართველოს პარლამენტის რეზოლუციის პროექტზე „2026 წლის 9 მაისს რუსეთის ფედერაციასა და ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმს შორის გაფორმებულ ე.წ. „სამოკავშირეო ურთიერთქმედების გაღრმავების შესახებ“ ხელშეკრულებასა და ანექსიურ პოლიტიკაზე რეაგირების თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია რეზოლუციის პროექტის შესახებ:

ა.ა) რეზოლუციის პროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს რეზოლუციის პროექტი:

რეზოლუციის პროექტის მიზანია საქართველოს პარლამენტმა დააფიქსიროს მკაფიო და პრინციპული პოზიცია რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ოკუპირებული რეგიონების - აფხაზეთისა და ცხინვალის - ანექსიისკენ მიმართული ქმედებების მიმართ. პროექტი ეხება 2026 წლის 9 მაისს რუსეთის ფედერაციასა და ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმს შორის გაფორმებულ ე.წ. „სამოკავშირეო ურთიერთქმედების გაღრმავების შესახებ“ ხელშეკრულებას, რომელიც წარმოადგენს რუსეთის მიერ ცხინვალის რეგიონის ფაქტობრივი ანექსიის მორიგ ეტაპს.

აღნიშნული ე.წ. „ხელშეკრულება“ ითვალისწინებს ოკუპირებული რეგიონის სოციალური, ეკონომიკური, სატრანსპორტო, ენერგეტიკული, თავდაცვისა და საგარეო პოლიტიკის სფეროების რუსეთის ფედერაციასთან ინტეგრაციას. ე.წ. „ხელშეკრულება“ ასევე ითვალისწინებს რუსეთის მოქალაქეებისთვის ოკუპირებულ რეგიონში საჯარო თანამდებობების დაკავების უფლებას, რაც წარმოადგენს პირდაპირი ადმინისტრაციული კონტროლის გაფართოების მცდელობას. ამასთან, „ერთობლივი სასაზღვრო პოლიტიკის“ ფარგლებში ხდება საოკუპაციო ხაზის ფაქტობრივი გაუქმება და რეგიონის რუსეთის ადმინისტრაციულ სივრცეში ინტეგრაცია.

რეზოლუცია ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ ნორმებს, გაეროს ქარტიას, ჰელსინკის დასკვნით აქტს, საქართველოს კანონს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებსა და საერთაშორისო სამართლის სხვა აქტებს და “2008 წლის 12 აგვისტოს ექვსპუნქტიანი შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ”.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად რეზოლუციის მიღების აუცილებლობა:

რეზოლუციის მიღება აუცილებელია საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა დაცვის მიზნით. საქართველოს პარლამენტი, როგორც ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, ვალდებულია სამართლებრივი და პოლიტიკური შეფასება მისცეს რუსეთის ფედერაციის ანექსიურ პოლიტიკას და ხელი შეუწყოს საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან არაღიარების პოლიტიკის განმტკიცებას. რეზოლუციის მიღება

ასევე მნიშვნელოვანია საერთაშორისო დღის წესრიგში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების საკითხის აქტუალურობის შენარჩუნებისთვის.

ა.ბ.) რეზოლუციის პროექტის მოსალოდნელი შედეგები:

რეზოლუცია ხელს შეუწყობს საერთაშორისო ორგანიზაციების, პარტნიორი სახელმწიფოებისა და საპარლამენტო ასამბლეების მხრიდან რუსეთის ფედერაციის ანექსიური პოლიტიკის მკაფიო დაგმობას და საქართველოს დეოკუპაციის საკითხის საერთაშორისო მხარდაჭერის გაძლიერებას.

ა.გ) რეზოლუციის პროექტის ძირითადი არსი:

რეზოლუციის პროექტი ადასტურებს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ურყეობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში; გმობს რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს რეგიონების - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის - ოკუპაციასა და ანექსიისკენ მიმართულ ნაბიჯებს; უკანონოდ აცხადებს 2026 წლის 9 მაისს გაფორმებულ ე.წ. „სამოკავშირეო ურთიერთქმედების გაღრმავების შესახებ“ ხელშეკრულებას და მოუწოდებს საერთაშორისო საზოგადოებას დაიკავოს ერთიანი და პრინციპული პოზიცია რუსეთის ანექსიური პოლიტიკის წინააღმდეგ.

ა.დ) რეზოლუციის პროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ეს ქვეპუნქტი არ გამოიყენება წარმოდგენილი რეზოლუციის პროექტის მიმართ.

ა.ე) რეზოლუციის პროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო რეზოლუციისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

რეზოლუციის პროექტი ძალაში შედის მიღებისთანავე. დაუყოვნებლივი ამოქმედება განპირობებულია იმით, რომ ანექსიის პროცესი მიმდინარეობს მყისიერ რეჟიმში და საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან ოპერატიულ სამართლებრივ რეაგირებას. რეზოლუცია არ ითვალისწინებს მისთვის უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) რეზოლუციის პროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება:

რეზოლუციის პროექტის დაჩქარებული წესით განხილვა არ არის მოთხოვნილი.

ბ) რეზოლუციის პროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (რეზოლუციის პროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) რეზოლუციის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

რეზოლუციის მიღება არ საჭიროებს დამატებით საბიუჯეტო ხარჯებს.

ბ.ბ) რეზოლუციის პროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

რეზოლუციის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) რეზოლუციის პროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

რეზოლუციის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, რეზოლუციის პროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო და საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

რეზოლუციის პროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მხრიდან ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) რეზოლუციის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება რეზოლუციის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია რეზოლუციის პროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

რეზოლუციას არ აქვს ფინანსური გავლენა ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე.

ბ.ვ) რეზოლუციის პროექტის დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

რეზოლუციის პროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის ან მოსაკრებლის შემოღებას.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე რეზოლუციის პროექტის ზეგავლენის შეფასება:

ასეთი გავლენა არ არსებობს.

ბ[2]) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე რეზოლუციის პროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

ასეთი გავლენა არ არსებობს.

გ) რეზოლუციის პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) რეზოლუციის პროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

რეზოლუციის პროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლისა და ევროკავშირის პრინციპებს.

გ.ბ) რეზოლუციის პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

რეზოლუცია ეფუძნება გაეროს ქარტიას, ჰელსინკის დასკვნით აქტსა და საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ ნორმებს.

გ.გ) რეზოლუციის პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება რეზოლუციის პროექტის მომზადება, - მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

პროექტი ეყრდნობა 1945 წლის 26 ივნისს მიღებულ "გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიას და მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს წესდებას"

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან" ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან;

ასეთი არ არსებობს.

დ) რეზოლუციის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, **რომელმაც მონაწილეობა მიიღო** რეზოლუციის პროექტის **შემუშავებაში,** ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) რეზოლუციის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება **რეზოლუციის პროექტის მიმართ,** ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება რეზოლუციის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული რეზოლუციის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში;

ასეთი არ არსებობს.

ე) რეზოლუციის პროექტის ავტორი:

საპარლამენტო ფრაქცია „საქართველოსთვის“

ვ) რეზოლუციის პროექტის ინიციატორი:

საპარლამენტო ფრაქცია „საქართველოსთვის“